იანვარი, 1939 წ. პარიზი. № 8 (87) Paris, Janvier 1939

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის ეკო

ქოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა.

« L'ECHO DE LA LUTTE » — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvrier de Géorgie.

რედაქტორი კ. გვარჯალაძე. Directeur C. Gvardjaladzé.



ემილ ვანდერველდე
1866—1938

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემილ ვანდერველდე

27 დეკემბერს ბრიუსელში გარდაიცვალა ბელგიის მუშათა პარტიის ლიდერი და ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ემილ ვანდერველდე.

ამ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ჩვენ ვერ მოვიგონებთ ერთ შემთხვევასაც, როცა საზოგადო მოღვაწის დაკარგვას ასეთი საერთაშორისო ტკივილები და დანაღვლინება გამოეწვიოს, როგორც ამას ვანდერველდეს სიკვდილის შემდეგ ჰქონდა ადგილი.

ვანდერველდეს გარდაცვალებას დიდის მწუხარებით შეხვდა ბელგიის მთელი ერი. ბელგიაში არ დარჩენილა არც ერთი პოლიტიკური მიმართულება, მხედველობაში თუ არ მივიღებთ უკიდურეს მემარჯვენეთა ჯგუფს, რომელთაც ვანდერველდეს ნახევარი საუკუნის მდიდარი მოღვაწეობა არ აღენიშნოს და მისი ღვაწლი სამშობლოს მიმართ შესაფერისად არ დაეფასებიოს. მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგენიც—ლიბერალები და კათოლიკეები—რამოდენიმე დღის განმავლობაში მასზე სწერდნენ და ერთსულოვანად ხაზს უსვამდნენ ვანდერველდეს, როგორც მოწინააღმდეგის ლოიალობას, პირდაპირობას, ადამიანობას და მისი სიკვდილით გამოწვეულ დიდ დანაკლისს.

ბელგიის მუშათა კლასი კი, რასკვირველია, ვანდერველდეს უადრესად გლოვობს და დასტირის.

ბელგიის მუშათა პარტიის ისტორია არის ვანდერველდეს მთელი მოღვაწეობის და ცხოვრების ისტორია. ამ პარტიაში ვანდერველდემ პირველ დღეებიდანვე დაიპირა თვალსაჩინო ადგილი, გახდა მისი ხელმძღვანელი და ამ როლში დარჩა ის მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. მას სრულიად სამართლიანად პარტიაში უწოდებდენ «პატრონს», მამას, რომლის მუდმივი ფიქრი და საქმიანობა მიმართული იყო მისი შვილების კეთილდღეობის და ბედნიერების დასამყარებლად.

ვანდერველდეს შეუფრბ, ხელმძღვანელობა და ლიდერობა პარტიაში საყოველთაოდ დადასტურებული და მიღებული იყო. ამ მხრივ მას არ ყავდა მოდავე, მეტოქე, მის ავტორიტეტს ყველა სცნობდა, მას ყველა ნდობით და პატივისცემით ეპყრობოდა. მას საამისოთ შესაფერისი თვისებებიც ჰქონდა.

ის იყო ფრთხილი, ბრძენი; რაიმე გადაწყვეტილების მიღების დროს ყოველთვის მდგომარეობის ყოველივე მხრივს წონდა და აფასებდა; უკვე მიღებულ გადაწყვეტილების განხორციელებას და ცხოვრებაში გატარებას კი მთელ თავის ძალას და ენერგიას სწირავდა.

ვანდერველდეს ჰქონდა მაგიური ძლიერება სიტყვისა, მისი მშვევრმეტყველობით ახდენდა უდიდეს გავლენას და აჯადოებდა მსმენელებს. ტრიბუნი, პარლამენტარული ტაქტიკოსი, ვექილი, პროფესორი, მოსაუბრე და ლექციების მკითხველი, ის სავსებით ფლობდა ორატორული ხელოვნების ყოველივე ფორმას.

მაგრამ ის არ იყო მხოლოდ შესანიშნავი ორატორი. ის იყო აგრეთვე უდიდესი ერუდიციის, კულტურის და განსაცვიფრებელი მეხსიერების მქონე ადამიანი მან იცოდა არა მხოლოდ ის, რაც სხვებს შეუქმნია და დაუწერია, არამედ მასაც ძალიან ბევრი უწერია და მისი მრავალი ნაშრომით კაცობრობის საკუნე გაუმდიდრებია.

ვანდერველდე არ იყო ორტოდოქსალური მარქსისტი. ის არ იზიარებდა მარქსიზმის ყოველივე დებულებას და აზრს. მაგრამ ის იყო ამ მოძღვრების უმთავრესი შინაარსის და, განსაკუთრებით, მისი მეთოდის მტკიცე დამცველი და მიმდევარი.

კიდევ მეტი. ვანდერველდე რომ ყოფილიყო მარტო დიდი ორატორი და თეორეტიკოსი, ის ვერ დაიპყრობდა იმ ადგილს, რომელიც მას ჰქონდა ნაციონალურ და ინტერნაციონალურ ასპარეზზე. ის იყო პრაქტიკოსიც; არ ივიწყებდა ყოველდღიური ცხოვრების პირველამს და იღვწოდა მშრომელი ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

თუ დღეს ბელგიაში მშრომელნი უკეთ იკვებებიან, მათ უკეთ აცვიათ და ახურავთ, ან უკეთესი ბინები აქვთ და მეტი უფლებებით სარგებლობენ, თუ ბელგიელთა ადამიანური ღირსება თვალსაჩინოთ გაზრდილ-განვითარებულია, დიდი ღვაწლი ამაში ვანდერველდეს და მის პარტიას მიუძღვის. მთელმა ერმა, ვანდერველდეს ეს დაუფასა, როცა ის, განურჩეველად მიმართულება და პარტიებისა, ათასობით მის დასაფლავებას დაესწრო და მას პატივი სცა.

დიდი ომის დროს, თუ მის შემდეგ, ვანდერველდე რამოდენიმეჯერ იყო მინისტრად და საყოველთაოდ ცნობილია, რომ მან ყოველივე მის უწყებაში დიდი უნარი გამოიჩინა და ყოველგან ახალი სიო შეიტანა. მიუხედავად იმისა, რომ ვანდერველდე იყო დიდი სოციალისტი და ინტერნაციონალისტი, როგორც ბელგიის ეროვნული მეფე, ისე მამა მისი,

ამ სოციალისტის და ინტერნაციონალისტის გამოცდილებას, უნარს და პატრიოტობას დიდად აფასებდენ, მას დიდ პატივს სცემდენ და სახელმწიფოს მინისტრის ტიტულით ორთავეს ის მუდმივ მრჩეველად ყავდათ.

ვანდერველდე გარეშე ხალხზე, ვინც მას კარგად არ იცნობდა, ცივი და მიუკარებელი ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა. სინამდვილეში კი მეტათ მორცხვი და მორიდებული, ის დიდად უბრალო, ნაზი და კეთილი ადამიანი იყო. ახლო ნაცნობ და მეგობართა წრეში უყვარდა ხუმრობა, ანეგდოტების და სასაცილო რამეების მოყოლა, უყვარდა, განსაკუთრებით, მეჩვიდმეტე საუკუნის ფრანგ კლასიკებიდან, თუ ვიქტორ ჰიუგოს ნაწერებიდან ადგილების ზეპირად თქმა, რითაც ყველს თავისი მახსოვრობით აკვირვებდა.

ამ მოაზროვნეს, მებრძოლს და სიტყვის ბატონს დიდათ უყვარდა აგრეთვე მუსიკა და შრომისაგან მოსვენების დროს ვატაცებით უსმენდა ვაგნერს და ბეთხოვენს.

მასში ყოველგვარი ნიჭი დაგროვილ-შეხავებული იყო და მათ შორის დიდი სიმეტრია და წონასწორობა სუფევდა. ის დიდი ადამიანი იყო.

ამბობენ, რომ ხშირად დიდი პიროვნება პატარა ქვეყანაში შესაფერისად ვერ მოსჩანს, დიდი ქვეყანა კი პატარა კაცსაც დიდად აქცევსო. ვანდერველდე კი უთუოდ დიდი პიროვნება იყო არა თუ თავის ქვეყანაში და ნაციონალურ ასპარეზზე, არამედ ინტერნაციონალურ მაშტაბითაც.

ვანდერველდე მრავალი წლების განმავლობაში თავმჯდომარეობდა და ხელმძღვანელობდა სოც. ინტერნაციონალს, სადაც წარმოდგენილი იყვნენ ყველა ქვეყნების, როგორც დიდის, ისე პატარასი, საუკეთესო წარმომადგენლები. ყველა ამათში მას განსაკუთრებული თვალსაჩინო ადგილი ეჭირა და მის ავტორიტეტს და მეთაურობას ყველა ცნობდა. ინტერნაციონალის მუშაობაზე და მიმართულებაზეც მას დიდი გავლენა ჰქონდა.

ვანდერველდე არ-ქმაყოფილდებოდა ინტერნაციონალის კრებებზე ყოფნით და იქ მუშაობით. ის ხშირად დადიოდა სხვადასხვა ქვეყნებში და ადგილობრივად ეცნობოდა ხალხთა მდგომარეობას. ევროპიელთა შორის ის იყო იშვიათი პიროვნება, რომელსაც მოვლილი ჰქონდა მთელი ევროპა, ამერიკა, აფრიკა და შორეული აღმოსავლეთი. ის სთვლიდა აუცილებელ საჭიროებათ ხალხთა თანაშრომლობას და მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობას. მისი აზრით ერის და ინტერნაციონალის შორის არავითარი წინააღმდეგობა არ იყო; წინააღმდეგ. ისინი ერთი მეორეს ავსებდენ და ერთი მეორესათვის საჭირონი იყვენენ. ამიტომაც ის ხშირად უყვარდა ჟან ჟორესის სიტყვების განმეორება: «ერთა დამოუკიდებლობის საუკეთესო გარანტია ინტერნაციონალის ძლიერობაშია, ინტერნაციონალის სიძლიერე კი ერთა დამოუკიდებლობაშია».

და მართლაც, ინტერნაციონალისტი ვანდერველდე ჩაგრულ ერთა მუდამ დიდი დამხმარე და მეკობაგე იყო. ქართველებმა ეს ჩვენი მაგალითით ვიცით.

უცხოელ სოციალისტებს საქართველოს საქმისათვის ამ ოცი უკანასკნელი წლის განმავლობაში ბევრი რამე გაუკეთებიათ. მაგრამ ყველა მათ შორის ყველაზე დიდი ღვაწლი ჩვენდამი, უთუოდ, ვანდერველდეს მიეძღვის. ჩვენი ქვეყნის იურიდიული ცნობისათვის პრაქტიკულად მომქმედი და გზის მაჩვენებელი ვერსალის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის ჩამოსვლის პირველ დღეებიდანვე ვანდერველდე იყო. ის კარგად იცნობდა პეტროგრადიდან, სადაც თებერვლის რევოლიუციის ხანებში იმყოფებოდა, ჩვენი დელეგაციის თავმჯდომარეს კ. ჩხეიძეს და მის წევრს ირ. წერეთელს. ის ამათ პარიზში ჩამოსვლას 1919 წლის თებერვალში ფრიად მეგობრულად შეხვდა და ყოველგვარი დახმარება აღუთქვა. ეს დაპირება მან პირნათლად შეასრულა.

ვანდერველდე იმ დროს ვერსალის კონფერენციაზე ბელგიის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი იყო და მას, როგორც ასეთს, უდიდესი ნაცნობობა და კავშირები ჰქონდა. მან ამ მისი ნაცნობობით და კავშირებით გვასარგებლა და ევროპის, თუ სხვა ქვეყნების მრავალი ოფიციალური წარმომადგენელნი გაგვაცნო და მათთან გადაგვგვა. საქართველო ჯერ კიდევ ნაცნობი არ იყო და ბევრი დაბრკოლება, რომელიც მის წარმომადგენლებს ხვდებოდა მუშაობაში, ვანდერველდეს შემწეობით გადალახულ იქნა. საფრანგეთის მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრთან—პიშონთან, ფილიპ ბერტელოსთან, ბრიანთან, ვივიანთან, იტალიის წარმომადგენლებთან—ორლანდო და სონინოსთან, ინგლისის, იაპონიის და სხვა ქვეყნების დელეგატებთან ვანდერველდეს შემწეობით და დახმარებით მივედით. არც ერთ თხოვნაზე მას ჩვენთვის არასდროს უარი არ უთქვამს.

შემდეგ, 1920 წლის შემოდგომაზე, ინტერნაციონალური დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად ვანდერველდე საქართველოს ესტუმრა და იქ ორი კვირის განმავლობაში სწავლობდა და ეცნობოდა ჩვენ მდგომარეობას. საქართველოდან ევროპაში დაბრუ-

ნებისთანავე, როგორც პრესაში, ისე საჯარო კრებებზე, ვანდერველდე გულმოდგინედ იცავდა და მოითხოვდა ჩვენი ქვეყნის ოფიციალურად ცნობას. იუსტიციის მინისტრი, ის მიდიოდა საფრანგეთის პრეზიდენტთან, თუ სხვადასხვა ქვეყნების მთავრობების წევრებთან და ყველას წინაშე ჩვენს საქმეს მხარს უჭერდა. საქართველოს იურიდიულ ცნობაში ვანდერველდეს დიდი წილი უდევს.

როგორც ჩვენი ქვეყნის დაპყრობის, ისე 1924 წლ. აჯანყების შემდეგ ვანდერველდეს არ გაუშვია არც ერთი შემთხვევა, იყო ეს ინტერნაციონალში, თუ სხვაგან, რომ ბოლშევიკების მხეცობის წინააღმდეგ არ გაელაშქროს ჩვენ დასაცავად. როცა საბჭოთა რუსეთი თხოულობდა ბელგიიდან მის ოფიციალურად ცნობას, დიდი ხნის განმავლობაში ვანდერველდე ამის პირობათ საქართველოს თავისუფლების აღდგენას აყენებდა. შემდეგ სხვებთა შორის რუსეთი ოფიციალურად ბელგიამაც იცნო. მაგრამ ამის სამაგიეროთ ვანდერველდეს მუშაობის და ცდის შედეგი იყო ის, რომ ბელგიაში დღეს ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა გვქონდეს ქართველ ლტოლვილთა ოფისი იმავე უფლებებით, როგორც ეს საფრანგეთშია.

ვანდერველდეს მიერ ჩვენი ქვეყნისადმი გაწეული მთელი სამსახურის დეტალურად აღნუსხვა აქ შეუძლებელია, ეს მეტად შორს წაგვიყვანდა. მაგრამ ზემო ნათქვამიც ნათელყოფს მის ჩვენდამი უდიდეს მეგობრობას.

ქართველ ერს დღეს არ აქვს საშუალება ვანდერველდე მოიგონოს და მისი მისდამი ღვაწლი მადლობით აღნიშნოს. მაგრამ ეხლა ის ძალით ჩაჩუმებული ჩუმად ატარებს გულში მის ძვირფასს ხსოვნას, ხვალ კი თავისუფალი და ხმაამოღებული შესაფერისად დააფასებს მის ჩვენდამი თავდადებას.

ვანდერველდეს გარდაცვალების გამო მის ქვრივს ნ. ჟორდანიამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

«ქართველი ერის სახელით გიცხადებთ ჩვენს მწუხარებას უდიდესი ბელგიელის ვანდერველდეს გარდაცვალების გამო. დებრუკერთან და ჰიუსმანთან ერთად ჩვენ ახალგაზდა რესპუბლიკაში მგზავრობის შემდეგ 1920 წ. მან დაუვიწყარი სამსახური გაუწია ჩემ ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე. მისი ხსოვნა სამუდამოდ ჩაიბეჭდება საქართველოს მატიანეში.»

ბელგიის მუშათა პარტიას საქ. სოც.-დემოკრატიის სახელით სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა კ. გვარჯალაძემ, პარიზის სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციის სახელით კი ი. სალაყაიამ.

უამრავ გვირგვინთა შორის იყო აგრეთვე ქართველების გვირგვინი წარწერით: «დიდ მეგობარს მადლიერი საქართველოსაგან».

ვანდერველდეს დასაფლავებას დაესწრო ჩვენი პარტიის წარმომადგენელი ინტერნაციონალში კ. გვარჯალაძე.

ეროვნული თავისუფლება

ამ თვრამეტი წლის წინ საბჭოთა ხელისუფლებამ ქართველ ერს თავისუფლება მოსტაცა. სამი წლის დამოუკიდებლობის შემდეგ რუსეთმა საქართველო ძალით დაიპყრო და მას კვლავ დაადგა კისერზე უღელი, რომლის ქვეშ ის წინეთ 117 წელი იმყოფებოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წელში უაღრესად მძიმე პირობებში იქნა გამოცხადებული. ჩვენ ქვეყანას მაშინ არავითარი კავშირი არ ჰქონდა ევროპასთან და მისგან სავსებით მოწყვეტილი იყო. თან მის მეზობელ დიდ რუსეთში საშინელი სიმაცარით სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და ის ყოველდღე ქართველ ერს წალეკით ემუქრებოდა. ამავე დროს შინ ჩვენ გვიხდებოდა მუშაობა დიდი ომის მიერ გამოწვეულ კრიზისის პირობებში. მიუხედავად ამ მძიმე და რთულ მდგომარეობისა, საქართველომ მაინც შესძლო სამი წლის განმავლობაში უდიდესი დაბრკოლების გადალახვა და თანდათანობით ახალ სახელმწიფოს კედლებს ბეჯითად აშენებდა და ამაგრებდა. ნაკლი და დეფექტები ამ მუშაობას, რა საკვირველია, ჰქონდა. მიზეზი ამ დეფექტებისა იყო, როგორც იმ დროის არსებული მძიმე და რთული მდგომარეობა, ისე ამი წლის განმავლობაში სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრაქტიკის და გამოცდილების უქონლობა. მაგრამ. მიუხედავად ამისა, როცა დამოუკიდებელი საქართველოს მდგომარეობას ადარებდენ მაშინ საბჭოთა რუსეთის, თუ სხვა ახლად შექმნილ რესპუბლიკების ცხოვრებას და ვითარებას, მიუდგომელ უცხოელ და არაუცხოელ პირთა შეფასებით და მოწმობით საქართველოს ყველა სხვებზე გაცილებით მეტი უპირატესობა ჰქონდა. და მართლაც, თავისუფალი საქართველო დიდი აღტკინებით მუშაობდა და მაშინდელ აფორიაქებულ ცხოვრებას თანდათანობით ეროვნულ კალაპოტში აყენებდა. ასი წლის განმავლობაში რუსეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ შექმნილ რუტინას და ბიუროკრატიულ ტრადიციებს ის თავიდან იცილებდა და ქართველი ერის მეობის ზრდა-განვითარებისათვის შესაფერის პირობებს ამზადებდა. მაგრამ თავისუფალ საქართველოს არ დასცალდა ფართოდ ფრთესის გაშლა და ქართველ ხალხისადმი ბედნიერი ცხოვრების მინიჭება.

საბჭოთა რუსეთი მოვიდა გაცილებით მეტი სიმკაცრით და ბარბაროსობით, ვიდრე ამას მეფის რუსეთი სჩადიოდა. ციციანოვებმა, კნორინგებმა, თუ ლაზარევებმა მანიოვრები და ცუღლუტობა არაფერია იმასთან შედარებით, რასაც დღეს მოსკოვის აგენტები საქართველოში იჩენენ. შეადარეთ ბოლშევიკების ტირანია და ტერორი საქართველოში 1924 წლის აჯანყებისას, თუ სხვა დროს ამ ხნის განმავლობაში, იმ რეპრესიებს, რომელსაც მეფის რუსეთი მიმართავდა 1802-4-12-32 წლებში ქართველი ხალხის მოძრაობის წინააღმდეგ, და თქვენ ადვილად დარწმუნდებით საბჭოთა ხელისუფლების კიდევ მეტ ბარბაროსობაში.

საბჭოთა რუსეთი პოლიციური ვეებერთელა აპარატით თავს აწევს კავშირში მომწყდეულ ერებს და მათ გაჭყლეტას და გადაგვარებას უქადის. მოსკოვმა ყველა ეს ერები დაიმორჩილა, ახდენს უკიდურეს ცენტრალიზაციას და ახვევს მათ თავზე მის მიერ გამომუშავებულ ხელოვნურ გეგმებს.

მრეწველობის, ან მეურნეობის დარგებში მოსკოვი არავითარ ანგარიშს არ უწევს საკავშირო რესპუბლიკების სხვადასხვა ადგილობრივ პირობებს და მათ თავისებურობას. მას აინტერესებს მხოლოდ, თუ რამდენად მეტი შემოსავალი ექნება ცენტრს პერიფერიებისაგან და ეს უკანასკნელნი როგორ დაუმორჩილოს ეკონომიურად და პოლიტიკურად პირველს.

დამორჩილება ხდება აგრეთვე კულტურულ სფეროშიდაც. ეროვნულ რესპუბლიკებში იწერება არა ის, რისი დაწერა მწერალს სურს, არამედ რასაც მას მაღლიდან უბრძანებენ და ჩააგონებენ. თავისუფალი მწერლობა და ხელოვნება იქ არ არსებობს. მწერლობა მხოლოდ ბრმა იარაღია არსებული რეჟიმის და მართველ პირებთა საქმე-საღიდებლად და მათი ძალაუფლების და ავტორიტეტის დასამაგრებლად. ნამდვილი ეროვნული შემოქმედება გაშლა-გაფფრჩქვნის შესაძლებლობა აღკვეთილია.

საბჭოთა რუსეთში დღითიდღე იზრდება და ძლიერდება ველიკორუსული დიდმყრობელური ნაციონალიზმი და ამ თვალსაზედვით წყდება იქ უდიდესი პრობლემები.

ეროვნულ რესპუბლიკებში ხდება ერთა ფიზიკური დაზარალებაც. საღი, მებრძოლი ელემენტები, ვისაც შეუძლია თავისუფლების გატაცებით სიყვარული და ვისაც ამავე დროს თავისუფლების მტრები განუსაზღვრელად სძულთ, ყველა ამათ ფიზიკურად ანადგურებენ. კიდევ მეტი, ნადგურდებიან არა მხოლოდ ესენი, არამედ ისინიც კი, ვინც, ხელისუფლების აზრით, შეიძლება პოტენციალურად ასეთები გახდენ.

ქართველმა ერმა ამ თვრამეტი წლის განმავლობაში რამდენი ათასეული თავის საუკეთესო მებრძოლი შვილები დაკარგა! და ამ მხეცობას დღესაც საზღვარი არ უჩანს.

ქართველი ხალხი ფიზიკურ განადგურებიდან და მორალურ-სულიერ გადაგვარებიდან გადარჩენილი უნდა იქნას. მას უნდა მიეცეს საშუალება თავისი საკუთარი საქმეების მოწყობისა და ეროვნული თავისებურობის მიხედვით თავისუფალი შემოქმედებითი მუშაობის წარმოებისა.

ეროვნული საკითხი პირველ რიგშია წამოყენებული და ეს არა მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ჩვენ დღეს დაპყრობილი ვართ და ვებრძვით არსებულ რეჟიმს, არამედ საკითხი დაყენებულია პრინციპიალურადაც: ჩვენ გვინდა ვიყოთ თავისუფალი სხვისი ყოველგვარ დამოკიდებულობისაგან, სხვისი ყოველგვარ რეჟიმისაგან.

სხვისი ბატონობის ქვეშ ერი ყოველთვის ჩაგრული არის. მხოლოდ თავისუფალ ერს შეუძლია ეროვნულ ფარგლებში ფართედ გაშალოს ფრთები და დიდი მაშტაბით აწარმოოს ხალხის სასარგებლოთ ყოველმხრივი მუშაობა.

ეროვნული თავისუფლება არის საუკეთესო და აუცილებელი გზა ყოველივე ერის და მისი მშრომელი მასების ზრდა-განვითარებისთვის.

დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა სავსეა ბევრი სხვადასხვა შესაძლებლობით და ჩაგრულ ერთა შვილებს ერთობ დიდად გემარჯვებს მოვლენების განვითარებას ახლო თვალყური ვადევნოთ. უნდა ვიცოდეთ, რომ ამ მოვლენების ჩვენ არც დაჩქარება და არც შეჩერება შეგვიძლია. ეს ჩვენს ძალას აღემატება. ჩვენ უნდა ვერიდოთ, რომ სადმე ტყვილა უბრალოდ არ გამოვიჭყლიტოთ; უმთავრესად კი ჩვენი შინაური ეროვნულ მოლიანობაზე და სხვა ჩაგრულ ერებთან კავშირზე უნდა ვიფიქროთ.

ეროვნული თავისუფლების მოპოვება ჩაგრულ ერთათვის ძნელია ცალცალკე მოქმედებით და ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი მუშაობის წარმოე-

ბით. ამიტომ ქართველი ერი დიდად დაინტერესებულია საბჭოთა კავშირის და, განსაკუთრებით, კავკასიის დაპყრობილ-დამონებულ ერთა შორის მკვიდრი კავშირის და საერთო შეთანხმებული და სოლიდარული მოქმედების დამყარებით. ასეთ მათ საერთო მოქმედებას საფუძვლად უნდა ედოს მათი საერთო და მთავარი მისწრაფება და მიზანი—მათი სხვისი ბატონობისაგან თავის დაღწევა, მათი ეროვნული განთავისუფლება. მათი გამაერთიანებელი საერთო ბრძოლაში ეროვნული თავისუფლებისადმი მისწრაფება უნდა გახდეს. ყველა დანარჩენი საკითხები, რეკომის და სხვა, რაც თვითოეული ერის შინაური საქმეა, მეორე რიგში უნდა იქნას გადატანილი.

ევროპაში დიდი სახელმწიფოები გაურბიან ერთი მეორეს რეკომის საკითხი წამოუყენონ და ამა თუ იმ იდეოლოგიური მოსაზრებით ერთმანეთის საქმეებში ჩაერიონ. ევროპის პატარა სახელმწიფონი ასეთ რამეს ხომ აბსოლუტურად მიუღებლად სთვლიან. საბჭოთა კავშირის ჩაგრულ ერებს კი, რომელთაც უდიდესი და უანელესი ამოცანა აქვთ გადასაჭრელი და თავიანთი თავი უცხო ბატონობისაგან უნდა გაინთავისუფლონ, მით უმეტეს მართებთ ასეთი საკითხების წამოყენებას მოერიდონ, რათა ამით მათი საერთო ბრძოლა და მოქმედება გაიაფვილონ.

ასეთ გეზს და ხაზს უნდა ადგენს ერთმანეთ მორის დამოკიდებულებაში აგრეთვე ქართული პოლიტიკური პარტიები და დაჯგუფებანი ემიგრაციაში.

ჩვენ პარტიებს და დაჯგუფებებს დიდი საერთო რამე აქვთ, ეს ჩვენი ეროვნული სუვერენობის აღდგენა და საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობის შენარჩუნებაა. ამ ორი მთავარი დებულების ნიადაგზე ჩვენ შეგვიძლია ერთად საქმიანობა და მუშაობა, ამ დებულებების შესახებ ერთ ქართულ ორგანოში წერაც.

კიდევ მეტი. შესაძლებელია ქართული პარტიები და დაჯგუფებანი, თუ მათი ხელმძღვანელი ორგანოები პერიოდიულად ახდენდენ საერთო კრებებს ჩვენი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ერთად მოსასმენად და ბევრი საინტერესო საკითხების გასარკვევად. ასეთი რამ დიდად შეუწყობდა ხელს ერთი პატრიოტული ფრონტის შექმნას და კონსოლიდაციას.

ამას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა აგრეთვე იმ მუშაობისათვის, რომელსაც დღეს აწარმოებენ საქართველოს დავალებით ევროპაში წარმოგზავნილ ოფიციალური ორგანო და პირები. ეს ორგანო, თუ პირები, რომელნიც თავიანთ მოქმედებაში პასუხს აგებენ საქართველოს წინაშე და დამოკიდებული არ არიან აქაურ პარტიების გადაწყვეტილებისაგან და სურვილისაგან, როგორც, მეორე მხრივ, რომელიმე პარტია პასუხს ვერ აგებს მათ მოქმედებაში, ესენი უნდა ათანხმდნენ, აერთიანებდნენ და ამუშავებდნენ ემიგრაციაში ყველა იმ ქართველ პატრიოტებს და პოლიტიკურ მოღვაწეთ, ვისაც კი უნარი შესწევს და შეუძლია ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების საქმისათვის შესაფერისი სარგებლობა მოგვიტანოს.

მთელი ამ თვრამეტი წლის განმავლობაში მებრძოლი საქართველო, მიუხედავად იქ სხვადასხვა პარტიების არსებობისა, შეთანხმებით და სოლიდარობით მტრის წინააღმდეგ დაუნდობელ და შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა. ყოველივე სადავოს, რასაც კი შეუძლია მებრძოლთა ძალების დაყოფა და დასუსტება, ქართველი პატრიოტები იქ დღის წესრიგიდან ხსნიან. მთავარ ამოცანათ და პირველ რიგში კი ყოველთვის ეროვნული თავისუფლების საკითხი სდგას და ამ ნიადაგზე სწარმოებს შეთანხმებული მუშაობა.

ამ ახალი წლის თავზე მებრძოლ საქართველოს ჩვენ უსურვებთ კვლავ ამავე გზით სიარულს, უსურვებთ მას დღეს მის მიერ წარმოებულ მტრის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლაში მისი განსაკეთებულ გამძლეობის შენარჩუნებას და ახლო მომავალში ჩვენი ეროვნული თავისუფლების საქმის წარმატებით დაგვიჩქარებას. ევროპაში მყოფ ქართველ პოლიტიკურ ემიგრაციას კი უსურვებდი, რომ მას დღევანდელი მომენტი სწორად შეეფასებინოს და მისი შეთანხმებული და სოლიდარული საქმიანობით ქართველი ერის ნდობა და მადლობა დაემსახურებინოს.

ვ. ვეკუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიური წერილები

ძველი გზით.

წინა წერილში ჩვენ აღვნიშნეთ ზოგიერთი ნიშნები იმის, რომ წარმოება საბჭოთა კავშირში, წინსვლის მაგიერ, ამ ბოლო დროს უნდა კლებულობდეს.

ვამბობდით იმასაც, რომ არამც თუ დაკლება, საბჭოთა წარმოების იმ დონეზე შეჩერებაც ახლა რომ იგი იმყოფება, დამღუპველი იქნებოდა, რადგან იგი. საბჭოთა კავშირის მრავალრიცხოვან მოსახლეობის მიხედვით, ძალიან ჩამორჩება ევროპის ქვეყნების წარმოებას.

მას შემდეგ აქ მოსული საბჭოთა გაზეთები იმას მოწმობენ, რომ ყველაფერი მართლაც კარგად არ უნდა იყოს ქვეყანაში შორის ამ საუკეთესო ქვეყანაში; ამოწმებენ ამას, რასაკვირველია, არა პირდაპირ, არამედ იმ ახალ ზომების და ამტყდარ კამპანიის მიხედვით, ბოლშევიკური პრესაში რომ ახლა არის წარმოებული.

რაშია საქმე?

თუ ძველი ეკონომისტები იმას გვასწავლიდნენ, რომ წარმოების განვითარების საფუძველი დღევანდელ პირობებში არიან დედა-მიწა, შრომა და კაპიტალია, ბოლშევიკებმა საქვეყნოთ დაამტკიცეს, რომ ეს არ არის მართალი, რომ კაპიტალი აქ არაფერ შუაშია. ბოლშევიკებმა შეაჭმნეს თანამედროვე წარმოება. წარმოება კაპიტალისტური (რა ვუყოთ, რომ ის კერძო პირებს არ ეკუთვნის და ამიტომ ისინი ამ წარმოებას «სოციალისტურს» უწოდებენ). წარმოება მოგების პრინციპზე აგებული, შეჭამნეს უკაპიტალოთ. დაეპატრონენ რა უზარმაზარ ტერიტორიას და გაბატონდენ რა მრავალ მილიონიან მოსახლეობაზე, მათ უპირველეს ყოვლისა მოსპეს კაპიტალი, ე. ი. გაანიავეს წინა თაობების მიერ დაგროვილი სიმდიდრე; გაანადგურეს შეძლებული ხალხი და კერძო მესაკუთრენი—ზოგნი ნივთიერად და ზოგნიც ფიზიკურად. ხოლო დღეს ამით ამყოფენ მაინც, რომ 1924 წლიდან 1936 წლამდის სახალხო მეურნეობაში ჩვენ, საბჭოთა ხელისუფლებამ, 180 მილიარდი მანეთი ჩაედვეთოო!

მერე, საიდან ნიშოეს ამდენი თანხა, ვინ მისცა მათ საშვალება, თუ მათი სტატისტიკა თავიდან ბოლომდის არ სტყუის, რომ რუსეთის ინდუსტრიალური წარმოების პროდუქცია 11 მილიარდ მანეთათ შეფასებული 1913 წლისთვის 80,9 მილიარდ მანეთამდის აეყვანაო 1936 წელს?

საბჭოთა კავშირში არსებულ შრომის პირობებს რომ არც ვიცნობდეთ, მაშინაც ადვილი მისახვედრი იქნებოდა, რომ საწარმოო საშვალებათა გადიდება იქ ხდებოდა მუშათა და გლეხთა საშინელ ექსპლოატაციის წყალობით, რომ იქ კაპიტალისტურ დაგროვების პირველყოფილი წესები სწარმოებდა. ჯერ იყო და გლეხობა რევოლიუციის მტრად გამოცხადდა და გადაყვანილი იქმნა დაქირავებულ მუშის პირობებში; ესე იგი, მას წაართვეს მისი მცირე კერძო საკუთრება და საწარმოო საშვალებანი,—მიწა, მუშა საქონელი. სამუშაო იარაღები,—და შემდეგ იგი, გლეხი, ისე როგორც ქალაქის მუშაც, ჩაყენეს ისეთ მოჯამაგირე-კაცის პირობებში, რომელიც თავისთვის და თავის ოჯახისთვის კი არ მუშაობს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ხაზინისთვის. ხალხს აიმედებდენ: ყოველივე ეს დროებითია, საკუთარ მრეწველობას რომ შევქმნით, სამოთხე დამკვიდრდებაო; მაგრამ დრო გადის და ტანჯვის ცხოვრება გრძელდება.

საბჭოთა კავშირის მუშა-მოსამსახურის და გლეხის საშუალო შემოსავალს და მასთან დაკავშირებულ მრავალგვარ გადასახადს და თავის სარჩენათ აუცილებელ რაოდენობის ჯამებს რომ ვეცნობით, ჩვენ მუდამ იმ კაცის ამბავი გვახსენდება, თავის ნოკარს «ჩოთქზე» ანგარიშს რომ ასწავლიდა თურმე: «ჩაადი, ბიძიაე, 8 კაპიკი; გამოდი ახლა მაქედან 12 კაპიკოო»!

ერთ დროს მრავალგვარ გადასახადით შევიწროებული და ეკუნეკუცეებით გამწარებული გლეხი «კოლხოზში» და «სოვხოზში» თავის ნებით ეწერებოდა; მაგრამ აქაც რომ იგივე შევიწროება დაინახა, 8 კაპიკის შემოსავლიდან 12 კაპიკს რომ უქვითავდენ, გლეხობა აჯანყდა და იმდენი მსხვერპლი გაიღო, რომ მოსახლეობის მორიგი აღწერილობის ჯამების გამოცხადებაც ვერ გაბედა ხელისუფლებამ: იმდენი ხალხი გაიწყვიტა! რადაც-რადაცა შემდეგ გლეხობას ვითომ დაუთმეს—ეზო-მიდამოს, ერთი ძროხის, ორიოდე ქათმის სარგებლობის საშვალება მისცეს საკუთარ ოჯახის საჭიროებისთვის.

ქალაქის მუშის ექსპლოატაციის გაძლიერება პირდაპირი გზით რომ არ ხერხდებოდა, მაშინ არაპირდაპირ საშვალებას მიმართეს; ეს იყო—«სტახანოვშინა». «სტახანოვშინა» ადამიანის პირუტყვათ გადაქცევას მოასწავებს, თავის დაუზოგავათ, დაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვენებლად, ხმა ამოუღებლათ მუშაობას. მართალია, ევროპიელების დაკვირვებით, ეს «სტახანოველები» ევროპის მუშასთან შედარებით მაინც ვერავითარ გასაკვირ ნაყოფიერებას ვერ იჩენენ, მაგრამ საბჭოთა პირობებში იგი უდიდეს პროგრესათ იყო მიჩნეული ნაყოფიერების მხრივ; ამიტომ მათ აჯილდოებდენ, განსაკუთრებულ პატივისცემის და მოვლის საგნად ხდიდენ. «სტახანოველების» მიმბაძველებიც გამოუჩნდნენ, თითო-ოროლა პირი. საერთოდ კი' მუშები ვერ უძლებდენ საბჭოთა წარმოებაში არსებულ პირობებს, გაუგონარ ექსპლოატაციას, შიმშილ-წყურვილს და გარბოდენ ერთი ადგილიდან მეორე ადგილას... უკეთეს პირობების აღმოსაჩენად.

კარგ ცხოვრებას, რა თქმა უნდა, არავინ გაუბრმა!

მოსკოვის ერთი საფეხსაცმო ქარხანიდან იწერებიან: 11 თვის განმავლობაში ჩვენი ქარხნიდან 3.345 მუშა-კაცი წავიდა და ამავე ხნის განმავლობაში 21.390 კაც-საბმუშაო დღე იყო გაცდენილი; ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა ქარხანამ 117.000 წყვილი ფეხსაცმელით ნაკლები მისცა ქვეყანასო («პრავდა» 27 დეკემბერი 1938 წ.). ასეთი მაგალითებით ახლა სავსეა საბჭოთა გაზეთები. რა თქმა უნდა ეს მოვლენა, მუშების ასეთი ცვალებადობა, ძალიან მაგნეა ქარხნისთვის, მანქანისთვის, რადგან იგი მუდამ გამოუცდელ და შეუჩვეველ მუშის ხელში რჩება. ცხადია, ეს ერთი დიდი მიზეზია წარმოების შეჩერების და ჩამორჩენის.

საჭიროა ამ მდგომარეობის გამოსწორება. კაპიტალისტურ ქვეყნებში ასეთ შემთხვევაში სამუშაო პირობებს აუმჯობესებენ, მუშას ჯამაგირს უმატებენ, გადასახადს უმცირებენ, საქონელს იაფათ მიყიდიან და სხვ. საბჭოთა «სოციალისტური» ქვეყანაში კი ასეთ რამეების შესახებ ბევრს ლაპარაკობენ, საქმით კი სხვაფერ იქცევიან; იმიტომ რომ მუშის ექსპლოატაციაზე იქ ხელს ვერ აიღებენ, რადგან სხვა არავითარი საშვალება უძირო ხაზინის ამოსავსებათ, გარდა მუშის და გლეხის სასტიკი ექსპლოატაციისა, იქ არ არსებობს.

ეს მათი ნაკადი გზაა; ამ გზით შეპქმნეს კაპიტალი, ამ გზით გაზარდეს მრეწველობა.

და აი ახლაც, მუშის ქარხანაში გასაჩერებლად ძველ გზას, მუშა-კაცის უფლების შევიწროების გზას, მიყვებიან; საშუალო საუკუნეობის, ბატონყმობის დროის წესებს—მუშის ქარხანაზე მიბმის წესებს—უბრუნდებიან; ხოლო ოფიციალურად ამ წესებს უმანკო და უმნიშვნელო სახელს უწოდებენ: საბმუშაო წიგნაკების შემოღებას.

ამ წიგნაკით უნდა შეიარაღდეს ყველა მუშა, ვინაც სურს სიმშვიდით სული არ ამოხდეს. ხოლო ამ წიგნაკში იქნება აღნიშნული, როგორც მისი ვინაობა, ისე მისი ყოფაქცევა—შრომის უნარი, ქარხანაში გამძლეობა, დაჯილდოება და სასჯელი, დათხოვნა თუ თავის ნებით წასვლა, რატომ და რა მიზეზით და სხვ. ამ წიგნაკის უმისოდ მუშას სამუშაოდ არ მიიღებენ, შრომიფელი ლუკმა პურს შრომითაც ვეღარ შეიძენს; მისი მიმღები სამუშაოდ არავინ იქნება, თუ ამ წიგნაკში არ აღმოჩნდა მისი ქარხანაში გამძლეობა, მოთმინება და მორჩილება, უსაზღვრო ერთგულება და კეთილსაიმედობა პატრონისადმი...

ეს აღდგენაა საშუალო საუკუნოებში არსებულ ამქართა წესების, ოსტატის ლოცვა-კურთხევის გარეშე შეგირდს და ხელოსანს ამქარში რომ არ ჩასწერდენ, სამუშაოს რომ არ მისცემდენ; საბჭოთა პოლიციურ პირობებში ეს აღდგენაა იმ შავი სიენის, ამ დიდი ხნის წინათ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოებში რომ არდგენენ ხოლმე და შიგ არა კეთილსაიმედო მუშები, მუშები—სოციალისტები შეჰკონდათ. მაგრამ ჩვენს დროში, მადლობა ღმერთს, ამას არც ერთი კულტურული სახელმწიფო აღარ კადრულობს: შრომის პირობების თავისუფლება—ეს მშრომელის ხელშეუხებელი უფლებაა თავის ქვეყანაში, ეს ბატონ-ყმობიდან განთავისუფლების პირველი საფეხურია.

ყველაფერზე უფრო დამახასიათებელი მაინც ის არის, რომ საბჭოთა გაზეთები სავსეა ვითომდა მუშების წერილებით, რომელნიც სწორეთ ამ ახლად შემოღებულ ზომას რომ იწონებენ: ჩვენი დაბმა საპიროა, ამბობენ ისინი; მოგვისპეთ საშვალება აქეთ-იქეთ სიარულის, ხანგრძლივი შვებულების, დიდი ხნის დასვენების და წარმოებაც მაშინ აყვავდებაო.

მუშა-ქალებმაც ისარგებლეს ამ საერთო აღტყინებით, რასაკვირველია, და ესენი იმას აცხადებენ, რომ მათ მშობიარობის დროს ძალიან დიდი ხნის დასვენების ვადას აძლევენ; არ გვინდა, ხალხნო და ჯამაათნო, ამდენი დასვენება, თავისუფლება მშობიარობის ხანაშიც კი გვაწყენს, დროს ნუ გვაკარგვინებთ, გვინდა ჩვენს საყვარელს სამშობლოს ვემსახუროთ თავის დაუზოგავათო...

არა, ყველაფერი რიგზე არ უნდა იყოს «სოციალისტურ» წარმოებაში. «სტახანოველებმა» საკმეს ვერ უშველეს; უშველიან იმას «შრომის წიგნაკები»?

ყოველ შემთხვევაში კანონი გამოცემულია, წიგნაკები მზადდება. საბჭოები ნაკად ბრალს—ხალხის თავისუფლების შებორკვისას—არ ღალატობენ.

ბ. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერიადა ეფოვი

ეფოვის გადადგომის ისტორია ჯერ კიდევ ბნელითაა მოცული. არავინ უწყვის, როდის გამოაცხადებენ მას «ხალხის მტრად» და «ფაშისტურ ჯაშუშად»; ან, როდის აღიარებს ის, რომ მოღალი მისის «რკინის პოლიტიკა» ნაკარნახევი იყო გერმანია-იაპონის კონტრაზვედკის მიერ. ერთი კი აშკარაა: ეფოვის კარიერის ასეთი ბოლო დამოკიდებულია არა დიქტატორის განწყობილებაზე, არამედ იმ «საქმიანობის» შედეგებზე, რასაც იგი სტალინის კარნახით აკეთებდა. ეს შედეგები კი სწორედ რომ გამანადგურებელი აღმოჩნდა. და მართლაც, ეფოვმა სტალინის დავალებით გაკლიტა ბოლშევიკების ძველი გვარდია და თან ბოლშევიზმიც წაკლა. მან ეს მოიმოქმედა ისეთივე სითაღლითით და სიფლიდით, როგორაც წარსულში მის მიერ დახვრეტილნი ჩადიოდნენ. ამასთან ერთად ეფოვის უუქველი დამსახურებაა ბოლშევიზმის ისეთი ლაფში და სიბინძურეში ამოსვრა, რომლისაგან ვერც ერთი პარტია და იდეოლოგია ვერასოდეს ამოვა. ამას ხედავ დაერთო მთელი რიგი უწყებების, მათ შორის სამხედრო უწყების, თავების დაკრა, რამაც მოშალა და გაანადგურა საბჭოთა კავშირის ეკონომიური ცხოვრება და თავდაცვის საქმე. მოიშალა ტრანსპორტი, ბაზრიდან გაკრა ისეთაც შემცირებული სანოვაგე; ანა რქიან მოიცვა მსხვილი და წვრილი წარმოება; «ბუშათა დენადობა წარმოებებში სახლკაროდ გიიზარდა». «ჯაშუშობა და პირადი ანგარიშების გასწორება» საყოველთაო ეპიდემიად გადაიკვა და კავშირის მთელ სივრცეზე ყველა კუთხეში, ყველა კუნჭულში და უჯრედში «ლალატს და გამეცმლობის სუნი დატრიალდა» («პრავდა» 10 ნოემბ.). თავმოჭერილი წითელი არმია უდისციპლინო ბრბოს დაეშბა გავსა, სადაც პოლიტრუკების «მახავეშრინა» ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა («კრას. ზვეზ.» 23 ნოემ.).

ერთი სიტყვით სტალინ-ეფოვის პოლიტიკამ ქვეყანა უფსკრულის პირზედ მიიყვანა. ქვეყანას თქვენი ჭირი წაუფია, ამა ამას ვინ დაგიდევთ საბჭოთა «სამოთხეში», რომ ამ ალვარ ახსნილ კაციკაცმიაობას წითელი ჯარი არ დაეჭრა. ეფოვის ბედი მაშინ გადაწყდა,როდესაც მან წითელ მარშლებს თავები დაკვეთა. ამ მრიგე სტალინის კარნახით ეფოვის მიერ მოქნეული ხმალი ვერ დარჩა გამოუხმელი და ის მეტად მგრძნობიარე და საშინ არსებას შეეხო—ამან სერიოზულად დააფრთხო «ხალხების მამა», რომლის წინაშე ყოფნა არ ყოფნის კითხვა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დაისვა. თუ ერთის მხრივ დიქტატორისათვის პირდაპირ მისწრება და ხსნა იყო ეფოვის ხელით ძველი ბოლშევიკების განადგურება და მით შესაძლებელ მეტოქეთა სამუდამოდ მოშორება,—მეორეს მხრივ მეტად სახიფათო გამოდგა ასეთივე ოპერაციის ჯარიზედ მოხდენა. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი სტალინს მხოლოდ ერთად ერთი დარჩა: ეფოვის მოცილება და მისთვის ამ პოლიტიკის შედეგების გადაბრალება. ეს სტალინის ჩვეულებრივი ხერხია არა ერთხელ ნახმარი და გამართლებული. და აი ეფოვიც. «ავად გახდა». ის ჩეკას ჩამოაცილეს და წყლის სახკომად დააყენეს. თითქოს წყლის ტრანსპორტის სახკომისათვის ჯანმრთელობა საჭიროა არც კი იყოს! აქ იაგოდას დაცემის და გაბასების აქტის დასაწყისი სრული სიზუსტით არის განმეორებული. გასთამაშებული პიესა უკვე დაწერილია, პერსონალურებიც გამონახული. მხოლოდ სა ჯირო მისი დადგმა და გათამაშება.

ვის შეუფია მისი შესაფერისად დადგმა, მისი მონტაჟი ისე, რომ სტალინი კვლავ უმწიკვლო «მამად» გამოვიდეს? ეს საქმე რეკისორისაგან მოითხოვს ორ თვისებას: უსაზღვრო ცინიზმს, შეზავებულს უსინდისობით და სტალინისადმი ერთგულებას. ეფოვის დღეკვანდელი მოადგილე—ბერია ამ ორ თვისების სრული განსახიერებაა და სტალინის არჩევნიც მასზე შეჩერდა. ბერიას ეკალება რკინის ცოცხით გუშინდელი «რევოლიუციის ხმლის» ნაბედარის გამოწმენდა, ის იძულებულია მდგომარეობაში კარგად გაერკვეს, კრემლში მიმოიხედოს, რათა მისი წინამორბედის გამგზავრება იაგოდას გზაზე შესაფერისად «ჩაეწყოს». ეფოვის «გამყიდველობა», «დივერსანტობა» დაამტკიცოს და მისი მოკვეთილი თავი ბრბოს დაანახოს. ამით გულუბრყვილოთ დაუტკიცებენ, რომ სტალინი არაფერ შუაშია, ყველაფერი «ეგრმანია-იაპონიის» დაქირავებული «ეგენტი»—ეფოვის ბრალიაო. ამას მოითხოვს «ხალხების მამის» პირადი უზრუნველყოფა და წითელ ჯართან მისი მორიგების საკითხიც.

სტალინის ამ მორიგ ვერაგობის ნიშნები უკვე მოსჩანან. უკანასკნელი ცნობებით უკვე შეუდგენია 150 კომისია, რომელთაც ეკალენ კონცლაგერების, ციხეების და გადასახლების ადგილების ჩამოვლა და იქ სტალინ-ეფოვის მიერ გამომწყვდეულ ტუსაღების საქმეთა გამორკვევა და «უდანაშაულო» ხალხის განთავისუფლება («ჰავასი» 13 დეკ.). ამ კომისიის მუშობის შედეგებიდან ირკვევა, რომ ათასობით «ხალხის მტრები» სრულიად უდანაშაულოდ და განუკეთხავად ყოფილან შეპყობილნი და განადგურებულნი. რასაკვირველია, ყველაფერი ეს დაბრალდება მარტო ეფოვს, ხოლო მისი სულის ჩამდგმელი და მბრძანებელი—სტალინი ამ «უდანაშაულო» მსხვერპლთაგან მხოლოდ მადლობას და კმაყოფილების გრძნობებს გამოელის.

ამ საქმის მოხდენილად ჩატარება ბერიას უნარზეა დამოკიდებული. შესძლებს ის სტალინის გათეთრებას თუ მასთან ერთად თვითონაც დაიდუპება ინტრიგის და ფლიდობის მორევში?

ბერიას კარგად იცნობს საკართველო. მისი კარიერა ჩეკასთან დაიწყო 1924 წელს. ქართველი ხალხის ქლეტა კვანტალიანის და ორახელაშვილ-გეგეჭკორის მიერ ბერიას,მეტად ლიბერალურ ზომად მოეჩვენა და ამ ალიბერალიზმისა წინააღმდეგ სტალინთან დანოსების წერას მოუბშრა. შედეგად მან კვანტალიანის ადგილი მიიღო და ამ დღიდან მისი კარიერაც წინ წავიდა. ის გახდა სტალინის თვალი და ყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი კავკასიაში. მან მიზნად დაისახა ანტი-საბჭოთა პარტიების განადგურებასთან ერთად ძველი ბოლშევიკების მოსპობა და მით პირადი ანგარიშების გასწორება. ამის მისაღწევად ის არ ინდობდა ნათესავთ და პირად მეგობრებს. ბრძოლამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო და ხშირად თვით ბერიას ბედიც ბეწვზედ ეკიდა. მაგრამ ბედმა გაუღიმა. მის გვერდში აღმართნდა მეტად მოხერხებული და გამოქნილი პიროვნება—ვიღაც მერკულოვი, რომლის რჩევით და უშუალო დახმარებით შეთხზა «კავკასიის ბოლშევიკური პარტიის ისტორია», რომელშიაც სტალინის როლი გაუთანაბრა ლენინის როლს და საქმიანობას. ეს მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგენი—ძველი ბოლშევიკების კადრებიდან—სტალინის როლს კავკასიის მოძრაობაში არარაობად აცხადებდენ. ამ აქტით ბერიამ სტალინის სრული მადლობა და კმაყოფილება დაიმსახურა. ეს იყო ის მოწმობა, რაიც «ხალხების მამას» ცის მანანასავით ენატრებოდა და, რომელსაც დღემდე არც ერთი ძველი ბოლშევიკი—დაწყებული ბ. მდივნით და გათავებული ღოღობერიძით—მას არ აძლევდა. აი ამ დღიდან ბერია ხდება პყრობელი მთელი კავკასიის. ის სტალინის მოადგილეა, სატრაპი და მორჩილი. რუსის ხიშტით კავკასიის ყველა კუთხეში მის მიაქვს ცეცხლი და სიკვდილი, აწიოკება და შიმშილი. ეს სისხლიანი ღვაწლი «მამამ» დაიფასა და ბერია კრემლში გაიწვიეს. მან თან გაიყოლა მის ძმა ბიუები და ბოროტი მრჩეველნი: მერკულოვი, სერგო გოგლიძე, ვახ. ლოლაძე და სხვები. ამ ბანდას ეეალება სტალინის დაცვა, მისი შერყეული ტახტის შემგრება. ეს ამბავი ბევრის მოქმედია. სჩანს სტალინის ირგვლივ ისე შეთხელდა ერთგულთა წრე, რომ ის იძულებელი გახდა ვიგინდარა ბერიას დაყრდნობოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დიქტატორის დღეები დათვლილია; მას ყოველ კუთხიდან, ყველა ჭუჭრუტანიდან სიკვდილის და ღალატის თვალი დასცქერის.

შესძლებს კი ბერია კრემლის ინტრიგებში გარკვევას, ალღოს სწორად აღებას და მით «ხალხების მამის» გადარჩენას? ვინც ბერიას იცნობს, ის, ამ მხრივ, სტალინს დიდ ნუგეშს ვერ მისცემს. მოსკოვი თბილისი არ არის და კრემლი-თბილისის სასახლე; პირველი უფრო დიდი ლაბირინტია, სადაც ბერიას მზგავსი პატარა კაცუნა ადვილად დაიბნევა და მით დიქტატორის აღსასრულიც დადგება.

ხან-ძანი.

ზ ო გ ი რ ა ვ

გენ. კვინიტაძე განაგრძობს ვარჯიშობას. არ იქნა და ვერ შეიგნო რომ მის მდგომარეობაში «სიტყვა ვერცხლია, სიჩუმე ოქრო». ის ვერ ითმენს არ ჩაერიოს ყველგან და ყოველთვის იმ დავაში, რომელიც წამოიჭრება ხოლმე ჩვენ დამარცხების შესახებ და თავის «ავტორიტეტული» ახსნა-განმარტებით კიდევ უფრო არ გაალიეროს ის ხმები, რომელიც ამტკიცებს, რომ თბილისის დატოვება მოხდა არა მისი სამხედრო მდგომარეობის გამო, არამედ სულ სხვა მოტივებით და სხვა ზრახვებითო.

მეტად სამწუხაროა რომ გენ. კვინიტაძემ ვერ შესძლო ეტარებინა საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდლის პატივი და სახელი ისე, როგორც ეს ეკადრებოდა ჩვენს ქვეყანას. შეხედეთ დენიკინს როგორ უპრავს თავი: დგას ყოველივე ჯგუფის გარშე, არავის ეპოლიმეკვება, არ იღებს არავითარ მონაწილეობას ემიგრანტულ კინკლაობაში და როცა მისი ქვეყნის საკითხები წამოიჭრება—ცდილობს მიიღოს მის გარკვევა-გადაჭრაში სათანადო მონაწილეობა ისე, რომ მაქსიმალურად დაიცვას თავის ქვეყნის ინტერესები. ამიტომაა რომ მას უსმენენ და ანგარიშსაც უწევენ. კვინიტაძე? ის ჩადგა, მ. წერეთლის სიტყვით რომ ვსთქვათ, «საქართველოს წინაადმდეგ გაშლილ ფრონტში» და არ უშვებს შემთხვევას გაავსოს «კავ.»-ის ფურცლები ათას გვარი ყალბი ცნობებით თავის ქვეყნის სახეინოთ და დასამცირებლად. იმ «კავკ.»-ის, რომლის ბატონ-პატრონია ის ბამატი, რომელმაც ჯერ გადასცა თავის ქვეყანა დენიკინელებს, ხოლო შემდეგ ბოლშევიზანი გახდა (გაიხსენეთ მისი მილოცება ბაკოს აღების გამო). კიდევ მეტი, ითხოვდა ოფიციალურად ჩვენი მთავრობისაგან აფხაზეთის დაცლას ესე ე. ი. იყო საქართველოს აშკარა მტერი თავიდანვე, აგრძელებს ამ მტრობას დღესაც და აი ასეთი პიროვნების დროშის ქვეშ დადგა საქართველოს ჯარების მთავარსარდალი! ამაზე უფრო სამარცხვინო საქმე იშვიათად ვინმეს დამრთოდეს.

ამ ხელათ გენ. კვინიტაძეს ეკამათება ის წერილს, რომელიც დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთში ამ ხუთი თვის წინეთ და არ ზოგავს საშველებს გაამართლოს თავის საბედისწერო ბრძანება თბილისის დატოვების შესახებ და რომ წყლიდან შშრალი გამოვიდეს ოკაფავს გზას ისეთი განცხადებით, როგორიცაა მაგალითად:—«ბოლშევიკურ ტალღებს გადარჩენ ისინი ვისაც სათავეში არ ყადათ ინტერნაციონალური სოციალისტები»-ო. მარა, ეს რომ მართალი იყოს ეზრბაიჯანი და სომხეთი ხომ დღეს თავისუფალი იქნებოდენ. მათ ხომ არ ჰყავდათ სათავეში «ინტერნაციონალური სოციალისტები»! «უცხოელ პრესაში ჩვენი დაცემის მიზეზებზე ბევრია დაწერილი და ყველა ერთხმად ჩვენს მთავრობას აბრალებსო»—სწერს ის. მარა, იმაზე კი არას ამბობს თუ ვინ აწყდოს ამ უცხო პრესას ის ყალბ და ცრუ ცნობებს, რომლებსაც ისინი მართლაც ავრცელებენ ჩვენი ქვეყნის დაცემის შესახებ. ყველა ამ ყალბი ცნობების მოწოდების მიზანი ხომ ისაა,—დააჯერონ უცხოელები, რომ საქართველო არ იყო მთამწიფებული დამოუკიდებელი არსებობისათვის და, მაშასადამე, მისი დაცვაც ზედმეტი და უმიზნოაო. ამიტომ, ვინც უცხოეთის პრესას ასეთ ყალბ ცნობებს აწვდის—ის ჩსადის ამას ან სიბრიყვით, ანდა შეგნებულად, პროვოკაციული მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენ. კვინტაძე არ ეშვება იმ სიცოცხეს თითქოს ჩვენს მთავრობას ბათუმი, ართვინი და სხ. ოსმალეთისათვის გადაეცეს. რამდენი საბუთი არ მოვიყვანეთ ამის წინააღმდეგ, მარა ის არ დაგიდეს ამას და ჯიუტათ იმეორებს—მაინც გადასცესო. რომ ეს მართალი იყოს ხომ უნდა იყოს რაიმე საბუთი—ოქმი, ნოტა, დადგენილება! ასეთი დიდი ამტი და არავითარი საბუთი?! ის არც იწუხებს თავს ამისთვის, კმაყოფილდება ლიტონი განცხადებით და ისიც 17 წლის შემდეგ! აკმაღე კი არ ბაუბარია ვინმეს ასეთი რამ და არც არავის დაუწერია რა. ეს მხოლოდ დღეს დასეირდათ რომ მტერი საბუთი გამოუნახონ და გაამართლონ მათი მეთაური ბამატის სურვილი —მიართვას ოსმალეთს ჩვენი ქვეყნის უდაო ნაწილები.

გენ. კვინტაძე ყოველი მხრიდან უტრიალებს ჩვენს უკანასკნელ ომს და მთელ ევროპეიზში მხოლოდ ის მიიჩნია სასახელოთ, რომ იმ დღიდან, რაც ის შესდგომია მთავარსარდლობას «მთელი თვის განმავლობაში ჩვენმა ჯარმა დაიხია საკუვეთხომდე —250 კილომეტრით. შეადარეთ და თუ შეგიძლიათ იყავით სამართლიანნ»-ო. სამართლიანობა კი ის იქნებოდა რომ გენ. კვინტაძეე თავს იცავდეს არა ვაზეთის ფურცლებზე, არამედ სამხედრო სასამართლოში, მარა არ მგონია მას აკეთეს ეს სასმენი. და რომ შეიმუშუმკოს მოსალოდნელი განაჩენი ის თხზავს თითქოს ჩვენს მთავრობას ორჯერ დაედგინოს თბილისის დატოვება. კიდეე მეტი. ის იქამდისაც მიდის რომ თავმამწონედ აცხადებს: «ბრძოლით დაწყება თბილისისათვის მოხდა მხოლოდ ჩემი დაქონებით მოთხოვნით»-ო. საბუთი? საბუთს არც აქ დაგიდეს, ლაპარაკობს ზეპირად, თუმცა ეგრძნობს კი რომ ამბობს რაღაცას ''ეუსაბამოს; ამიტომაა რომ მკითხველი თვალის ასახვევად მიმართავს «ტრიუკებს». ის ჯერ ირხით აცხადებს—მთავრობამ ორჯერ დაადგინა თბილისის დატოვებაო, ხოლო, ქვევით, როცა მოგვითხრობს თუ როგორ მოხდა ეს —ირკვევა რომ არამც თუ დადგენილება—ლაპარაკიც კი არ ყოფილა თბილისის დატოვებაზე. «როცა დამნიშნეს მთავრსარდლად—ბწერს ის—გამოვთხოვე მთავრობას ფირუკტიეეზები. განსაკუთრებით დაუსვი კითხვა: საკართველოს დაცვა თავდება თბილისში, ანდა თბილისის მტრის მიერ ალების შემდეგ გრძელდება უკანასკნელ ზომამდე»-ო. მთავრობას უპასუხნია: «თბილისის დაცემის შემდეგ ომი გრძელდებაო». ამას ეძახის გენ. კვინტაძე «დადგენილებას თბილისის დატოვების შესახებ»! როგორც ხედავთ კითხვა ეხება არა თბილისის დატოვებას, არამედ ომის გაგრძელებას თუ «მტერი თბილისს აიღებდა». მარა თუ ეს უბედურება მოხდებოდა—მაშინ ხომ დადგენილებაც არ იყო საჭირო. ასეთია მისი «პირველი დადგენილება». როგორია მეორე?

მეორე დადგენილება, მისი გადმოცემით, მომხდარა 17 თებერვალს. მარა ეს ისეთი ტყუილია, ვგონებ, ავტორსაც არ სჯერა. მთავრობას არც შეეძლო მიეღო ასეთი დადგენილება, რადგან თანახმად ქანონისა «თბილის დროს მთელი ძალაუფლება გადადის მთავარსარდლის ხელში, რომელიც საომარ ოპერაციებში სრულიად თავისუფლად მომქმედი—ომის წარმოების ყველა საკითხების თაობაზე მომხსენებელია მთავრობის თავმჯდომარის წინაშე» (მუხ. 4). ასეთია კანონი და რადგან იმ დროს ომი უკვე სწარმოებდა, მთელი ძალაუფლებაც მთავარსარდლის ხელში იყო და ერთავად მისი საქმე იყო თბილისში დარჩენა თუ მისი დატოვება, ვერც ვერავინ ჩაერევა ამ საქმეში. ალსანიშნავია რომ ქანონის დაურღვეველად, მთავარსარდალსაც არ შეეძლო გაეცა ბრძანება თბილისის დატოვების შესახებ თავმჯდომარის მოუხსენებლად. მან კი, როგორც ვიცით, ეს ბრძანება გასცა მთავრობის თავმჯდომარის მოუხსენებლად! ფაქტია რომ 1921 წ. გენ. კვინტაძე უფ-ალრე გავიდა თბილისიდან, ვინმე მთავრობა. ჯარის გასვლა დაიწყო 11 საათიდან, მთავრობის თავმჯდომარე კი გამოვიდა შემდეგ. გასაკვირაელია რომ მთავარსარდალს არ სცოდნია ის უბრალო წესი, რომ მთავრობა არასოდეს არ იმყოფება ბრძოლის ველზე, სარდლის გვერდით; ის მუდამ იმყოფება ბრძოლის ველიდან ეგზარიან დაშორებით და იქიდან მუშაობს. ერთად ერთი გამონაკლისი ამ საერთო წესისაგან არის საქართველოს მთავრობა, რომელიც ბრძოლის ველზე სარდლის გვერდზე დარჩა ბოლომდე. გენ. კვინტაძე იმოწმებს სპ. კედიას წერილს («სიტ. გუშ. № 3), მარა, იგივე სპ. კედია იმავე წერილში სწერს, რომ მთავარსარდალმა უთხრა მას: «მირჩევნია თავში რევოლვერი დავიცე. ვინემ თბილისის დაცვაზე ასე ხელი აველოო». როგორც ვიცით გენ. კვინტაძემ ხელიც აიღო დაცვაზე და არც რევოლვერი გახსენებია. მარა მთავარია არა ეს, არამედ ის რომ თავარსარდალმა ბრძანება თბილისის დატოვების შესახებ გასცა ისეთ დროს, როცა გარემოება ამას სულაც არ მოითხოვდა. და გასცა რა ასეთი ბრძანება—არ მიიღო წინასწარი ზომები, მოეშზადებია დასახვევი პოზიციები, რის შედეგი იყო ჩვენი ჯარის დაშლა, თავდაცვის გაგრძელების შეუძლებლობა და მით ფაქტიურად ომის გათავება. აი რაშია საქმე და თუ რა უიმედოა ამ საკითხებში მისი თავის მართლება —ტყვეის მას მისი ღღეკანდელი თანამოკალმე და თანამაზრე ბ-ნი გაბაშვილი, რომელიც თავის საჯარო მოხსენებაში საბუთებით ხელში ამტკიცებდა, რომ უკანასკნელ ომში «ქართველი მებრძოლმა მოწოდების სიმაღლეზე არ აღმოჩნდა; რომ მას სარდლობა არ უუგრეოდა; რომ გამარჯვებისა შესაძლებელი იყო, მაგრამ სარდლობამ დაგვამარცხა»-ო და სხ. («სიტ. გუშაგი» № 6).

ამ რიგად, მთავრობას ერთხელაც არ გამოუტანია და, როგორც დავინახეთ, არც შეეძლო გამოეტანა დადგენილება თბილისის დატოვების შესახებ. ის გამოიტანა მხოლოდ და მხოლოდ მთავარსარდალმა და ის სამიდოემიოთოაც მასთან დარჩება.

ოსმს უნდა მოამზადება, ჯარის შექმნა, სახლეიერების დაცვა, თავდაცვის გეგმის შედგენაო და სხ—სწერს კვინტაძე და ამგონია ამერიკა აღმოაჩინა. ეგანთი იყო თუ არა რამე ამ მხრით გაკეთებული.

დამოუკიდებლობა გამოცხადდა 26 მაისს. 24 ივნისს თბილისის თავმჯდომარე ნ. ყორდანიამ შეიტანა ერთგენ საბჭოში ქანონი რეგ. ჯარის მოწყობის

შესახებ, რომელიც თითქმის შეუსწორებლად იქნა მიღებული. პროგრესტ შემოშვებული იყო სამხედრო პირების მიერ. 20 აგვისტოს გადადგა გენ. ოდიშელიძე და მის ადგილას მინისტრის ამხანაგად დანიშნა გენ. ალ. გედევანიშვილი, რომელსაც, გარდა თავის პირდაპირი მოვალეობისა, სპეციალური ბრძანებით დაეკისრა „პირდაპირი ზედამხედველობა და ხელმძღვანელობის გაწევა ჯარის ორგანიზაციის ძირითადი კანონების ცხოვრებაში გასატარებლად“. მინისტრი უმატებდა: „ვამოციცლება, ღვაწლი და ენერგია გენ. გედევანიშვილისა მაიმედებს რომ ის მოკლე ხანში სათანადოთ მოაწყობს ჯარის ორგანიზაციას“ ო. გადაიდო საჭირო თანხა, რომლისაგან 5 მილიონი არც კი დახარჯულა. ეს იყო 1918 წელს. 1919-20 წ. წ. სამხედრო ხარჯები კიდევ უფრო გაიზარდა; ბიუჯეტიდან თანანმად თავერობის სპეციალური დადგენილებისა, პირველ ყოვლისა, აკმაყოფილებენ სამხედრო უწყებას. ჯარების მოსაწყობად და საერთო სახელმძღვანელოთ კანონით შექმნილი იყო გენ. შტაბი, რომლის ერთ-ერთ განყოფილებას შეადგენდა ე. წ. ოპერატიული სექცია, რომელის მოვალეობა იყო ქვეყნის თავდაცვა, სახღვრების დაცვა და სხ. ყველა ამათ სათავეში ჩაყენებული იყვნენ საუკეთესო მკოდნე პირები და ყველა ეს და წესებულებანი ემორჩილებოდენ სამხედრო სამინისტროს, რომლის სათავეში იდგა არა სამხედრო პირი, მაგრამ კანონში ნათქმი იყო, რომ „სამხედრო მინისტრს დაენიშნება ამხანაგი, რომელიც ამავე დროს ნაცვალია სამხედრო მინისტრის. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მიმდინარე საქმეებს პრინციპიალური და საბიუჯეტო ხასიათი არ აქვს—სამხედრო მინისტრის ამხანაგი დამოუკიდელად (ხაზი ჩვენია) გადაწყვეტს საქმეს და სამხედრო მინისტრის მაგიერ ხელს წერს“ (პუნ. 5). არც ერთ სამინისტროსათვის მთავრობას ასეთი გამონაკლისი არ გუუკეთებია. ეს დამატება სპეციალურად შემქნილი იყო იმ მიზნით, რომ სამხედრო უწყებას ეშუშავა სრულიად თავისუფლად და დამოუკიდებლად ე. წ. „შტატსკი“ პირებისაგან. ამ თანამდებობაზე ე. ი. სამხედრო მინისტრის ამხანაგად პირველი დღიდანვე მიწეველი იყვნენ გენერლები. პირველად თვით გენ. კვინიტაძე. შემდგე გენ. ოდიშელიძე, ხოლო მის შემდეგ გენ. გედევანიშვილი. ასე რომ ამ უწყებასა არაფერი არ აკლდა, რაც კი მისთვის საჭირო იყო.

გენ. კვინიტაძე ამტკიცებს რომ ჩვენი ბედი გადაწყდა წითელ ხიდთან გამარჯვების შემდეგ ომის შეწყვეტით, „თუ არ ჩავთვლით იმ დღეს, როცა ძალაუფლება ჩაუვარდა ხელში სოც. დემ. პარტიას. ან უკეთ რომ ვსთქვათ ჩვენს მთავრობას“ ო. გამოდის რომ საკართველოს ჯარების მთავარსარდალი ჩვენი ქვეყნის ბედს გადაწყვეტილად სთვლიდა იმ დროიდან, რა დღესაც ძალაუფლება ჩაუვარდა იმ მთავრობას, რომელმაც ის მთავარსარდლად დანიშნა და ქვეყნის დაცვა-გადარჩენა ჩაანარა! ამის შემდეგ ვიღას უნდა გუუკვირდეს ყოველივე ის რაც მოხდა. რა სურეული და რა მონდობება უნდა ჰქონოდა მთავარსარდალს იმ ქვეყნის დასაცავად და გადასარჩენად, რომლის ბედი მისთვის თუმრმე უკვე გადაწყვეტილი ყოფილა იმით, რომ მისი მთავრობა სოციალისტური იყო! ასე ფიქრობდა თუმრმე არა ერთი კვინიტაძე. მეორე გენერალი (ჩხეიძე) ამას წინეთ „მხედარში“ სწერდა—თბილისის დატოვებას არც ისე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ჩემზე. რადგან სამშობლო ჩემთვის დიდი ხანია დაკარგული იყოო. და ეს ყველა ეს გენერლები, რომლებისთვის თურმე სამშობლო დიდი ხანია დაკარგული იყო და მის ბედს დიდი ხნით ადრე გადაწყვეტილად სთვლიდნენ—სათავეში მოექცენ ჩვენი ჯარების მეთაურობას და რაღა გასაკვირია თუ ჩვენი ქვეყნის დაცვა ასეთი კატასტროფით დათავდა.

ჩვენი შეცდომა სწორედ ის იყო, რომ ჯესეთ პირებს უდიდესი ნდობით მოვეპყარით. მივანიჭეთ ჯანფასაზღვრელი თავისუფლება, ე. ი. დავტოვეთ რეგულიარული ჯარი ამ „სამხედრო სპეციალისტების“ ანაბარათ; მარა გვიანდა „თითზე კბენანი“! გენ. კვინიტაძეს შეუძლია ახლა ნიშის მოგებით ვეითხოთ: „ტოოცკიმაც კი დაიწყო ნამდვილი ჯარის შექმნა...ო. ჩვენ რომ რეგ. ჯარების შექმნა ტროცკის სისტემით დაგვეწყო. ე. ი. კომისარების და პოლიტ რუკვების საშვალებით—ვინ იცის, იქნებ ჩვენი ჯარების მეთაურობაც სხვაფრივ მოქცეულიყო!! თუ ეს შეცდომა იყო—ეს ცოდვა მხოლოდ და მხოლოდ ჩვენმა პარტიამ უნდა ზიდოს...

„ჩვენ შინა—განაგრძობს გენ. კვინიტაძე—არსებობდა ჯარი (12 ათასეული) და გვყოდია (23 ათასეული)—ო. მაგრამ ეს ხომ აშკარა ტყუილია. მუდმივი რეგ. ჯარი ჩვენში მართლაც 12 ათასეული იყო, მარა მუდმივი გვარდია კი 2000-დე ძლივს აღწევდა. გვარდიაში ირიცხებოდა 200-მდე ოფიცერი, რეგ. ჯარში კი—1000 მდე. გვარდია, ფაქტიურად, შეიარაღებულ ძალთა ერთ მეოთხედსაც არ შეიცავდა. და როცა ასეთმა მცირე რაზმმა ვერ შესძლო საკართველოს გადარჩენა—ყოველი მხრიდან დაგვჩხავიან: გვარდიამ დაგვღუპა, გვარდიამ არ იიმამო! რა საზიზღარი და უნამუსო სიცრუეა! და ეს მაშინ თუ ვინმემ იბრძოლა—ეს ისევ გვარდიამ. როცა რეგ. ჯარის სამი ბათალიონი უომრად ჩაბარდა მტერს—ამაზე კრინტს არ რრავენ, მარა თუ სადმე გვარდიის რომელიმე გუნდმა დაიხია, ქვეყანას აყრუებენ—იერიშზე გადასულის მაგიერ—უკან მოდიოდენო, როგორც ამას ასე ურცხვად უმატებს კვინიტაძის წერილს „კავკ.“ რედაქცია. მარა რაც არ უნდა სწერონ—ერთი მაინც უდაოა: ეს ისა რომ სამი წლის განმავლობაში სამშობლოს იცავდა ჩვენი ბიჭები, ბევრ ადგილას ეს ბიჭები ბევრ ადგილას ეს ბიჭები ბევრ ადგილას ეს ბიჭები

ᲕᲘ. გოგუᲜᲫᲔ. საუბᲔᲓᲣᲠᲝᲗᲐ ასᲘᲗᲛᲐ მᲮᲔᲠᲐᲖᲔᲑᲘᲗ დაᲐᲒᲠᲝᲗᲮᲜᲘ სარᲬᲛᲣᲜᲐ და მᲐᲮ ᲧᲣᲑᲝᲗ გადასწᲧᲕᲘᲢᲐ ᲛᲝᲜᲐᲚᲘᲡᲘᲗ დატᲧᲕᲘᲗᲐ. ᲔᲑᲚᲐ ᲮᲛᲐ ᲒᲐᲛᲠᲩᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲝᲛᲐ ᲗᲘᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲔᲛᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲘ ᲗᲘᲗᲝᲜᲗᲝᲜ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲒᲐᲑᲠᲬᲔᲑᲐᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲩᲔᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲗᲐ, ᲗᲛᲘᲐᲠᲘᲡᲮᲠᲐᲛᲓᲐᲛᲘ ᲛᲝᲐᲚᲬᲘᲠᲔ ᲛᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲛᲧᲘᲒᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲗ ᲝᲛᲘᲛᲘ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲑᲔᲓᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲬᲧᲘᲢᲐ.

ᲒᲒᲜ. ᲙᲘᲜᲩᲘᲢᲐᲫᲔ ᲐᲠᲬᲣᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲙᲝᲗᲮᲔᲑᲡᲚ, ᲗᲘᲗᲛᲘᲫᲘᲗ ნ. ᲯᲝᲠᲯᲝᲠᲐᲜᲘᲐ ᲩᲐᲛᲝᲣᲠᲒᲜᲘᲗ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲣᲬᲘᲠᲐᲗ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲡ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲪᲘᲣᲚᲐᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐᲡ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲬᲐᲜᲐᲠᲘᲩᲜᲐ. ᲐᲠᲪᲘ ნ. ᲯᲝᲠᲯᲝᲠᲐᲜᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪᲘ ᲡᲐᲘᲠᲩᲝᲗᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲐᲠᲘᲡ ᲓᲘᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲡ, ᲠᲐᲡᲐᲙᲘᲠᲘᲕᲘᲚᲘᲐ, ᲮᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲣᲬᲘᲠᲘᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲡᲒᲐᲜᲘᲗ. ᲙᲘᲜᲩᲘᲢᲐᲫᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲘᲠ ᲮᲐᲡᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲡᲒᲐᲜᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲐᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲣ ᲙᲘᲜᲩᲘᲡ ᲧᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲐ ᲛᲑᲝᲚᲛᲔ ᲘᲛᲘᲥᲛᲔ ᲠᲣᲛ ᲙᲝᲜᲪᲘᲠᲒᲘᲡᲛᲐ ᲛᲘᲘᲪᲛᲔ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲑᲚᲔᲛ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲔᲡ. Ნ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲧᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜ.

ᲙᲘᲜᲩᲘᲢᲐᲫᲘᲡ ᲪᲧᲝᲜᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲓᲐ ᲯᲘᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠ ᲓᲐᲩᲘᲥᲣᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲐᲰᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲛᲘᲗ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲡᲐ ᲐᲮᲚᲐᲪᲛᲔᲚᲘ ᲘᲗᲘᲥᲛᲔᲑᲘᲗ ᲠᲣᲛ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲐ ᲛᲗᲚᲔᲚᲘ ᲘᲗᲘᲥᲛᲔᲑᲘᲗ ᲠᲣᲛ ᲙᲝᲜᲪᲘᲠᲒᲘᲡᲛᲐ ᲛᲘᲘᲪᲛᲔ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲑᲚᲔᲛ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲔᲡ. Ნ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲧᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜ ᲡᲘᲗᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან წაღება იმ ფართო ავტონომიისაგან, რომელიც სლოვაკებს ასე უხვად ჩაუვარდათ ხელში მიუხედავად გადაწყვეტილების შედეგ. ამ სიფრთხილის თავიდან პრემიერის ამხანაგმა სლოვაკელმა სიდორმა გამოსთქვა ასე: «პრაღაში მაქვს ერთი მოვალეობა— ლიკვიდაცია ვუყო ცენტრალისტურ რეჟიმს მთელ ხაზზე და გავსწორნდეთ ყველა ადგილები მისი ნაშთებისაგანო».

ბერანის მთავრობა დაუყონებლივ წარუდგა ორივე საკანონმდებლო პალატებს თავისი დეკლარაციით: მან განაცხადა, რომ სურს ითანამშრომლოს პარლამენტთან და არ მიიჩნია საჭიროთ წაბაძოს უცხო რეკიმებს და შემოიღოს უცხო ნიმუშები შინაურ ცხოვრების ურთიერთობაში. ეროვნული ერთიანობის პარტიის ოლიანური თანამშრომლობა მეორე პარტიასთან—ეროვნული შრომის პარტიასთან, განაცხადა პრემიერმა, იქნება თავდები შინაური პოლიტიკური ცხოვრების მშვიდობიანი განვითარებისთვის; ჩვენი საერთაშორისო პოზიცია განსაზღვრულია ჩვენი გეოგრაფიული მდგომარეობით და ძლიერ სახელმწიფოთა ზეგავლენით; ახალი პოლიტიკური მდგომარეობა მოითხოვს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას და უდგენთ ჩვენ საკანონმდებლო ორგანოებს ეკონომიურ და სოციალურ ხასიათის ფართო პროგრამას, როგორც საერთო სახელმწიფოებრივი, ისე ავტონომიური ნაწილების და ცალკეცალკე მხარეების მაშტაბითო.

პროგრამა ითვალისწინებს, თუ როგორ და რა გზით შეიძლება ანაზღაურდეს დაკარგული მილიარდი კრონების ღირებული სიმდიდრე, როგორ დამყარდეს წონასწორობა მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში და, რაც მთავარია, როგორ გადიდეს საკონლის გაუჩინოს ტაბარზე, რაც იქნება მთავარი წყარო ქვეყნის ეკონომიურად აღდგენისათვის.

ბერანის მთავრობა დაარსებს ბევრ საზოგადო ხასიათის სამუშაოებს. მან უნდა მოაწყოს 150 ათასი ჩეხი ლტოლვილი მეზობელ სახელმწიფოთა ხელში გადასული ტერიტორიიდან. ყველა ამის სასწრაფოთ მოსაწესებიგებლად და სიძნელეების დასაძლევად მთავრობამ მიიღო ფართო განსაკუთრებული უფლებები პარლამენტი და სენატისაგან.

არსებული საკანონმდებლო პალატები, ალბად, დათხოვნილი იქნებიან ახლო მომავალში და მთავრობა შეიმუშავებს ახალ საარჩევნო კანონს. სლოვაკიაში უკვე არჩეული იქნა სეიმი 63 დეპუტატით. წამოყენებული იყო მხოლოდ ერთი საარჩევნო სია—ლიინკას სახალხო პარტია, რომელმაც მიიღო 98 პროცენტი მთელი ამრჩევლების (1.263.678 ამრჩევლები). კარპატის უკრაინაში არნეგენი მოხდება გაზაფხულის დასაწყისს.

ჩვენი დაკარგვებით ჩეხო-სლოვაკია თანდათანობით დიდი ცდით და მუყაითობით აღწევს თავს იმ საშინელ კატასტროფას, რომელიც მას გასულ შემოდგომაზე თავს დაატყდა. არის სრული ნიშნები, რომ მალე გიფინანტება უიმედობა და საერთო უნდობლობა, რომელიც ასე ძალოვანად დაგროვდა სახოგადოებაში. ამას კი ძალიან უწყობს ხელს ახლად არჩეული პრეზიდენტი ემილ ღახა თავისი დიდი ტაქტით და არსებული მომენტიის სწორი გაგებით.

ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა პირველ დღესვე თავის თანამდებობის მიღებისა თავეანი სცა პრეზიდენტ განმათავისუფლებელ მასარიკის საფლავს. ეს ნაბიჯი დაფასებულ იქნა დიდი სიმპატიით და მიღებელია, როგორც ნიშანი, რომ საეჩიოა გაწყვეტილი იქნას ატმოსფერა ზოგიერთი მავნებელი წერის და მითქმა-მოთქმისაგან.

პირველი რესპუბლიკის დამარცხებისთანავე დაიწყო ძებნა დამნაშავეენის. კამათი ამის შესახებ პრესის ერთ ნაწილში ღებულობდა მეტად წრეგადასულ ხასიათს და ვიყავით მოწმე. თუ როგორ სვრიდნენ ტალაზში იმას, რაც კიდევ გუშინ წმიდათა-წმიდათ იყო აღიარებული. ბულვარული პრესა ამას ჩადიოდა ისეთნაირად, რომ შეეძლო უსათუოდ გაელანძღა მთელი ერი და დაეშდაბლებინა უცხოეთის თვალში მისი ღირსება. რასაკვირელია, არ იყო დაზოგვილი ამ პირების მიერ თვით მასარიკიც.

პრეზიდენტ ღახის მოქმედება მიღებულ იქნა ფართო საზოგადოების მიერ როგორც განცხადება, რომ მასარიკი შუდამ დარჩება პრეზიდენტ განმათავისუფლებელ და სიმბოლოდ ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის და თავისუფლებისაო.

როგორ ყალიბდება დამოკიდებულება ახალი ჩეხო-სლოვაკიის მეზობელ სახელმწიფოებთან და პირველ რიგში გერმანიასთან?

არსებობს სრული ნიშნები ვიფიქროთ, რომ გერმანიას სურს დაამყაროს კეთილმეზობლური განწყობილება მეორე რესპუბლიკასთან. ამათ უკვე დასდეს ერთი ხელშეკრულება, რომელიც ეახდება ერთი საფუძველდასაგანი ამ მომავალი ოლიანური ურთიერთობის. ის ეხება ჩეხიის უმცირესობის დაცვას გერმანიაში და გერმანიის ჩეხო-სლოვაკიაში. ხელშეკრულება აგებულია თანასწორ უფლებებზე და აკცადებს მტკიცე სურვილს ნებაყოფლობით და შეთანხმებით მოწესრიგებული იქნას ამ უმცირესობათა თავისუფალი განვითარება ორივე სახელმწიფოში.

აქ მოელიან, რომ გერმანია გააკეთებს განცხადებას ახალი ჩეხო-სლოვაკიის საზღვრების გარანტიის შესახებ. ამის ნიშნად სხვათა შორის სთელიან მის დამოკიდებულებას კარპატის უკრაინასთან. გერმანიამ ამ დღეებში მწუხარებით აღნიშნა, რომ ვენგრიის და ჩეხო-სლოვაკიის საზღვრებზე მშვიდობიანობა კიდევ არაა დამყარებული და მასზე არა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ტერორისტების შემოჭრა სლოვაკიის ტერიტორიაზეო.

ამ მოსალოდნელი ლოიალური ურთიერთობის მომზადებაში მეტად დამახასიათებლად მიგვანნია ერთი მნიშვნელოვანი წერილი პირველ ხარისხოვანი პუბლიცისტისა. ჩეხი პუბლიცისტი პეროუტკა სწერს: «გერმანიამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ მის მიმართ განიარაღებული ვართ. არ მოხდება არასოდეს ჩეხების შეთქმულობა მის წინააღმდეგ. იმ ბრძოლაში, რომელიც ეხლახან ჩატარდა კარპატების ჩამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეჯილთვის ჩეხო-სლოვაკიისაგან, გერმანიამ ჩვენს დაგვიცო, ის მოქმედებდა და ლაპარაკობდა ჩვენს სასარგებლოდ. აქ იშლება ჩვენ საგარეო პოლიტიკის წინაშე ესპარეზი პოზიტიური თანამშრომლობის გერმანიასთან». «ჩვენ, ძვირფასო ბატონებო, მიმართავს წერილის ავტორი ინგლისელებს და ფრანგებს, ამიერიდგან ვაწარმოებთ მხოლოდ ეროვნული ეგოიზმის პოლიტიკას. როგორც ეს თქვენ მშვენივრად გვასწავლეთ ჩვენ სეტტ

ბრის თვეში მთელი ერთი კვირის განმავლობაში კურსის გავლით».

ჩემი წერილი არ იქნებოდა სრული თუ არ გაკეთებდით ერთ თვალსაჩინო მოვლენას შინაური ცხოვრებიდან: ლიკვიდაცია სოციალდემოკრატიის და მის მაგიერ დაარსება ახალი ეროვნული შრომის პარტიისა.

გასულ წელს ჩეხო-სლოვაკიის სოციალდემოკრატიამ დდღესასწაული სამოცი წლის თავი დღიდგან დაარსებისა. ობიექტიურად აღნიშნულ იქნა პრესის მიერ, რომ პარტია რომელიც სამოცი წლის მუშაობის შემდეგ სრულიად ძალდაუტანებლად განშორდა სახოგადო ასპარეზს და დაუცალა გზა ახალ მიმდინარეობას, იყო დიდი ფაქტორი ჩეხიის ერის ცხოვრებაში.

ახლად დაარსებულმა პარტიამაც გამოაცხადა თავის თავი სოციალისტურ პარტიათ და დამცველად დემოკრატიისა. მისი ოპოზიცია არ იქნება მხოლოდ ოპოზიციისთვის, ის მხარს დაუჭერს მართველ პარტიას ყოველ დადებით მუშაობაში და მიუთითებს ლოიალურად შეცდომებზე და ეცდება მის გამოსწორებას. დამაარსებელ ყრილობას დაეწრო მინისტრი, როგორც მთავრობის წარმომადგენელი და ყრილობამ მიიღო პრემიერ ბერანსისაგან მოსალოცი წერილი ბოდიშით რომ ვერ ესწრება ამ ყრილობას.

ამ პარტიაში ჯერ-ჯერობით თავმოყრილია ერთი დიდი ნაწილი ძველი სოციალდემოკრატიული წევრების და მოზრდილი ნაწილი სხვადასხვა ყოფილი პარტიებიდან, მათ შორის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისაგანაც. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ყოფილი თავმჯდომარე სოც. დემოკ. პარტიის ანტ ფამპელი. ამ პიროვნების არჩევით ფართო საზოგადოებამ უპასუხა ახლად დაარსებულ პარტიას ნდობის გამოცხადებით.

სოც.-დემ პარტიის ლიკვიდაციასთან ერთად შესწყვიტა თავისი 47 წლის არსებობა «პრავო ლიდუ»-მაც (პარტ. ცენტ. ორგანმა).

«პრავო ლიდუ» თავის უკანასკნელ გამოსათხოვარ წერილში მკითხველებისადმი ყოველივე სასტიმენტალურობის გარეშე სწერს: «პრავო ლიდუ» არ მომკვდარა, მან გზა დაუცალა მხოლოდ ახალ პოლიტიკურ ვითარებას—ინტერესი სახელმწიფოს და ერის სდგას ყველაზე მაღლა».

სხვა საგულისხმო მოვლენებზე და ცვლილებებზე შემდეგ.

ᲔᲛ. ᲚᲔᲛ—ᲫᲔ.

პრაღა, 3 იანვარი.

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ *)

(მასალები)

სასულიერო პირების ᲛᲝᲫᲠᲐᲕᲬᲧᲔᲑᲐ.

მცირე რიცხოვანი მესამოცე წლების მოღვაწენი, ვითარცა გაზაფხულის სურნელოვანი ყვავილები, საქართველოს ასპარეზზე სხვადასხვა ნაირათ ერის საკეთილდღეოთ გაიშალენ, სხვადასხვა გზით მუშაობას შეუდგენ.

დროთა ვითარების გამო დაცემულ სასულიერო წოდებას, წარსულში შარავანდედით გაბრწყინებულ ჩვენ ეკლესია-საყოფის კვლავ მოეკლინენ ღირსეული მამები, ნამდვილი ქრისტეს მაღალი სათნოებით, ძმობა ერთობის, სიყვარულის მქადაგებელნი გაბრიელ და ალექსანდრე ეფისკოპოსების მეთაურობით. მათ სასტიკათ დაგმეს ბატონ ყმობა. თავიანთ მაღალ კეკარცხლბეკიდან ჯვრით ხელში შეეებრძოლენ ყმების განთავისუფლების წინააღმდეგ ამხეირებულ ფეოდალებს. მათ შესძინეს ეკლესიებს შესანიშნავი ქადაგებანი, რომლებიც ინგლისურათ არიან თარგმნილი და დაამშვენეს ქართული ლიტერატურა. მათ სასულიერო შკოლებთან ერთად გახსნეს სახალხო სამკითხველოები, მათი ქველმოქმედებით ორა ერთი და ორი ერის სასიკეთო შვილები აღიზარდა, მათი ფაქიზი ზნეობით, სამაგალითო ქრისტიანული «გიყვარდეთ ერთმანეთის» ქადაგებით მრავალი ადამიანი ეგზაკცდა, ღირსეული პიროვნება შეიქნა მათი შესანიშნავი ქადაგებით, ახსნა განმარტებით მდაბიო ხალხისათვის გასაგები შეიქმნა ჩვენი დიადი ძეგლების ისტორიული მნიშვნელობა, დავით-კონსტანტინეს—მოწამეთის, ეკლათის. მცხეთის, ალავერდის და სხვა მრავალთა საამაყო ნაშთების გაგება, წარსულ დროთა სიდიადე, სამშობლოსათვის წამებულთა თავდადება. გადაგვარებულ, წამხდარ, უკეთესი მოცულ დროში ეს მამები ვით კელაპტარი ბრწყინავდენ, სინნელეს ფანტავდენ, ადამიანში ღირსებას ადდგენდენ, ხალხში ნამდვილ ძმობა-ერთობას, ქრისტეს მაღალ მცნებას ავრცელებდენ, გადაგვარებულ თაობას სამშობლოს აყვარებდენ.

არა ერთხელ და ორხელ დამიღვრია ცრემლი ქუთაისის ტაძარში, ეკლათში და მოწამეთაში. როცა სახე-გაბრწყინებული გაბრიელი, თავის შესანიშნავი მეტყველებენი ადამიანობის სიყვარულზე, მოწამეთა-ეკლათის მნიშვნელოობაზე ქადაგებდა, ზოგ მხეც ფეოდალებს თავდაუსხენელ ყმების შებრალე-

---

*) ამ ნომრიდან ჩვენ ვიწყებთ ამხ. ვლასა მგელაძის მოგონებებს («საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში»). ბეჭდვას. ამ მოგონებებში აღწერილია ვლასას შეშფოთარე ცხოვრების და მოღვაწეობის რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში მის მიერ განცდილი, თუ ნახულ-გაგონილი ფრიად საინტერესო ამბები. მოგონებები მოდის დღევანდელ ხანამდე და იძლევა მეტათ მდიდარ მასალებს.

რედაქცია.

ბაზე უთითებდა—ისენიც ადამიანებიაო—არცხვენდა. ზოგი რეგვენი თავადი—მოსაკლავია ეგ ბერიო ბაიძახოთ! გაბრიელი ჯვრით ხელში სასოებით, მარა ამაყად მიუგებდა: უფალო მიუტევე, რამეთუ არა იციან რასა იტყვიანთ და შეუნდობდა. მქონდა ბედნიერება მის ჯვარსა და ხელს ვთხვეოდი, მისი კურთხევა მიმეღო.

როცა რუსი რექტორი თბილისის სემინარიაში ქართულ ენას «ძაღლის ენას» უძახოდა, შეგირდების აღშფოთებას სახლვარი არ ქონდა, საქმე გფიცევი იწყებოდა, ცემით და რექტორის მოკვლით თავდებოდა—ამ ჯოჯოხეთურ პირობებში ალექსანდრე ეფიფანოვი შეგირდებს მამაშვილურად არიგებდა, რუსეთის მზაკვრულ პოლიტიკაში სავალ გზას ასწავლიდა, მისი შემწეობით ქართული ენა, გალობა შემოღებულ იქმნა.

როცა ჩვენი პირველი ეკურნალის დამაარსებელი ივანე ყერესელიძე შიმშილით თბილისში ერს ხელში ჩაჰკვდა, ალექსანდრე ეფიფანოვსმა დიდუბის ტაძარში ივანეს წესის აკების დროს საჯაროთ სიტყვაში კოსტანტინე მუხრან ბატონს—ბაგრატიონს თავად-აზნაურობის წინამძღვრის მელიქიშვილ ის პირით მიმართა: ხალხს მოამაგე, მამულიშვილი შიმშილით მოკვიკვდა, თითო-ოროლა მოღვაწენი ხელში გვაკვდებიან, ბაგრატიონს დიდი შეძლება აქვს. შვილი არ ყავს, ის მოვალე არის გაჭირვებულ მამულიშვილებს, ქართველ მწერალ-მოღვაწეებს დაეხმაროს, პატრიოტობა და სამშობლო ამას თხოულობს. რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია—რუსთველი ამბობსო.

ამა, როგორი იყვნენ ეს მამები იმ გადაგვარებულ დროში, მაგრამ მათ შრომას, უბრალოთ არ ჩაუვლია: როცა სამშობლოს დაუდგა გასაჯარი, მათი დაბდილებში აღმონჩდენ დირსეული მემკვიდრეები, რომლებმაც ერთან ერთად მოწმებრივი გვირგვინი თავს დაიდგეს, მით სამშობლოო ასახელეს

ასეთი იყო მესამოცეკ წლებიდან გამოსული პირების მოღვაწეობა საეკლესიო დარგში სამშობლოსათვის წარმოებული...

ინტიგენციას.

ზოგი ნიჭიერი ახალგაზდები რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში იქნენ დატოვებულნი სამეცნიერო მუშაობისათვის. თავიანთი უნარით, შრომით მეცნიერების სახელი გაითქვეს—სამშობლოო ასახელეს. ამათში იყვნენ: ფიზიოლოგი თარხნიშვილი, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა. ქიმიკოსი მელიქიშვილი, პეტრიაშვილი, ცაგარელი, ჩუბინაშვილი, მოსკოვში ხახანაშვილი, რომელმაც ევროპაში მოგზაურობის დროს ყენევის წიგნსაცავში შენიშნა, რომ იქ გამოფენილ ქართულ ხელთნაწერებს და წიგნებს ეწერა: ეს ხალხი ამერიკაში ცხოვრობსო! როცა ეს შეცდომა ხახანაშვილმა გასაწორა, ჩვენსაცავის დირეკციამ ყენევის გაზეთში მადლობა გამოუცხადა, შეცდომა თავიდან აგვაცილაო.

ასე დაბეჩავებული და უცნობი იყო მაშინ საქართველო ფართე საზოგადოებისათვის.

ამ პროფესორებს მოყვენ შემდეგში ახალგაზდა ქართველი მეცნიერები, რომლებმაც სამშობლო ასახელეს და ბევრ მათგანმა თბილისის უნივერსიტეტი დაამშვენენს. ესენი არიან: ნიკოლოზ მარი, ივანე ჯავახიშვილი, ეკვთიმე თაყაიშვილი, ფილიპე გოგინაშვილი და სხვები, რომელთა გზას ახალი მეცნიერები განაგრძობენ.

რუსეთის ინტელიგენციაში ზშირათ შევხვდებიკარ საუბარს: ჩვენი შესანიშნავი მეცნიერი თარხანოვიო! როცა მე შევნიშნავდი, ეს ჩვენი ქართველი თარხნიშვილია—ჩვენი დიადი ძველი კულტურის შედეგიათქო, მომიგებდენ: ნუ! ო ბრეზინსკოი კულტურე ეშო რანო გოვორიტო! ასე ქონდათ გაგებული ჩვენი წარსული და ასე უდიერათ გვეპყრობოდენ ზოგი უმეცარნი.

* * *

ნაწილი რუსეთიდან დაბრუნებულ ახალგაზდებისა ძველ მწერლებს ამოუდგენ გვერდში. ახალი აზრებით აღფურვილებმა მალე შესცვალეს «მამები» და ახალ გაშლილ ასპარეზზე სამოქმედოთ აისახენ.

რუსეთიდან დაბრუნებული ყველა ახალგაზდობა მცირეული გამონაკლისით იმყოფებოდა იმ დროს რუსეთში მომქმედ «ნაროდნიკების» გავლენის ქვეშ.

ამ უცხოეთიდან მოტანილ აზრებით ერთნი მწერლობაში გამოვიდენ, მეორენი საქადაგებლათ მოემზადენ, ხალხთან მისვლას შეეცადენ.

ეს აზრები მაშინდელ ეკურნალ-კრებულებში იწერებოდა, პიროვნებები ჯგუფდებოდა, კამათი იმართებოდა, მარა ინტელიგენციის წრეს არ სცილდებოდა.

ბატონყმობიდან განთავისუფლებულ ფართო მასებს არა გაეგებოდა, ის შექმნილ მდგომარეობიდან ვერ გამორკვეულიყო, დროს უცდიდა.

ეკურნალ-კრებულების მკითხველი მცირე იყო, იქ გამოთქმული აზრების გამგები ცოტა, ქალაქი სოფლებს მოწყვეტილი, მიმოსვლა ფეხით, ურმით, ცხენით. ასეთ პირობებში მესამოცეკ წლების მოღვაწეების ცდა. რომ ხალხში თავიანთი ნაწარმოები შეეტანთან და იქ გამოთქმული აზრები გაეგრცელებინათ, დიდ დაბრკოლებებს ხვდებოდა.

(გაგრძელება იქნება)

ვლასა მგელაძე.

„ბრძოლის ხმა"-ს ეძახპდიცია

სთხოვს ხელის მომწერთ მათზე დარჩენილი გაზეთის ფული გამოგზავნონ შემდეგი მისამართით:

M-r Eradzé
10. rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France.

ამავე მისამართით შეიძლება გაზეთის გამოწერა.

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuvill* Le Gérant : René Toussaint.